ხელშეკრულება N10.29/10/028

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი **23 თებერვალი 2021 წელი**

ერთის მხრივ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი რაიონის გამგებლის - **ლევან ჯღარკავას** სახით, მეორეს მხრივ **შპს "აუდიტ სერვისი"** (შემდგომში „მიმწოდებელი“) (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მინიჭებული აუდიტორული ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-715412), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **პართენ ყურუას** სახით (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მინიჭებული აუდიტორის (პარტენ ყურუა - პ.ნ. 35001071809) ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-185691), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისადა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საუფძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1. **ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობას გაეწიოს აუდიტორული მომსახურება. კერძოდ:**

- **საქონლის შტრიხკოდების (ინვენტარიზაციისათვის შტრიხკოდების მომზადება) მეშვეობით ინვენტარის აღრიცხვაში კონსულტაცია/ზედამხედველობა;**
- **გამგეობის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, ინვენტარიზაციის დროს ფასების დადგენა;**
- **ამორტიზებული და ექსპლუატაციისთვის გამოუყენებელი (ვადაზე ადრე ჩამოსაწერი) ძირითადი საშუალების დადგენა;**
- **გამგეობის ტერიტორიაზე არსებული სკვერებიდან და სპორტული მოედნებიდან დემონტირებული ამორტიზებული საპარკე სკამების, ლითონის ურნების, საქანელის და მავთულბადეების და ა.შ. ჩამოსაწერი ინვენტარის აღრიცხვა და მისი შეფასება სკარპის ღირებულებით;**
- **გამგეობის ბალანსზე რიცხული საქონლის ჩამოწერის სისწორის დადასტურება;**
- **საქონლის ჩამოწერისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქის მთავრობაზე წარსადგენად.**

1.2. **კლასიფიკატორის კოდი (CPV) (79200000/79210000)**

2. **სახელშეკრულებო ღირებულება**

2.1. **ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“) 4900.00 (ოთხი ათას ცხრაასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.**

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები**

3.1. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღე.**

4. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

4.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2021 წლის 31 დეკემბრამდე.**

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **თამარ მაისურაძე,** საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილების უფროსი **მაია გოგოლაძე** და იურიდიული განყოფილების უფროსი **ზურაბ ზურაბაშვილი.**

5.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

5.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის გადაცემის დადასტურების მიზნით, მომსახურების მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **თამარ მაისურაძე.** საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილების **უფროსი მაია გოგოლაძე** და იურიდიული განყოფილების უფროსი **ზურაბ ზურაბაშვილი**.

6.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი იქნება სტანდარტებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში.

7.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7.4. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს დეფექტების გამოსწორება.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 2021 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი

საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

8.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- უარი თქვას უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი მომსახურების მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ამ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების გამო დაკისრებული ჯარიმის ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს ან ამ მუხლის 10.3 პუნქტით გათვალისწინებული სანქციის 2- ჯერ ან მეტჯერ გამოყენების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნეს მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

10.6. მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. შემსყიდველს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

- თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი;
- თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

- თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

13.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთშეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

14.3. მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო სამი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 202171167
მის. აკ. ბელიაშვილის ქ. N1
სახელმიწფო ხაზინა:
ა.ა. GE24NB0330100200165022
TRESGE22

ლევან ჯღარკავა

მიმწოდებელი:

შპს „აუდიტ სერვისი“
ს/კ – 416302799
მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის I ჩიხი, ბინა 20
ტელეფონი: +995577977766
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№ GE09LB0113115245210000
სს „ლიბერთი ბანკი'', კოდი: LBRTGE22
ელ. ფოსტა: **auditrustavi@gmail.com**

პართენ ყურუა

ხელწერილი

ქ. თბილისი 23 თებერვალი 2021 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2021 წლის 23 თებერვალს გაფორმებული №10.29/10/028 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს შპს „აუდიტ სერვის"-თან მიმართებაში.

რაიონის გამგებელი ----------
ლევან ჯღარკავა

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ----------
თამარ მაისურაძე

იურიდიული განყოფილების უფროსი ----------
ზურაბ ზურაბაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების
განყოფილების უფროსი ----------
მაია გოგოლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
დიდუბის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
DIDUBE DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი:**32-0121053624**
თარიღი: **22/02/2021**

ადრესატი:

ლევან ჯღარკავა
დიდუბის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ინვენტარიზაციის შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ბალანსზე არის ჩამოსაწერი ტექნიკა და ავეჯი, აქედან გამომდინარე აუცილებელია მოწვეული იქნეს აუდიტორული კომპანია, რომელიც მოახდენს დიდუბის რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული საქონლის შტრიხკოდების (ინვენტარიზაციისათვის შტრიხკოდების მომზადება) მეშვეობით ინვენტარის აღრიცხვაში კონსულტაცია/ზედამხედველობას, საქონლის ჩამოწერის სისწორის დადასტურებას, დიდუბის რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, ინვენტარიზაციის დროს ფასების დადგენას, ამორტიზირებული და ექსპლუატაციისთვის გამოუყენებელი (ვადაზე ადრე ჩამოსაწერი) ძირითადი საშუალების დადგენას და გამგეობის ტერიტორიაზე არსებული სკვერებიდან და სპორტული მოედნებიდან დემონტირებული ამორტიზებული საპარკე სკამების, ლითონის ურნების, საქანელის და მავთულბადეების და ა.შ. ჩამოსაწერი ინვენტარის აღრიცხვას და მის შეფასებას სკარპის ღირებულებით.
აუდიტორული კომპანია ასევე მოახდენს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქის მთავრობაზე წარსადგენად .

მოკვლევის შედეგად ინვოისის გამოგზავნა ვთხოვეთ მსგავსი მომსახურეობის გამწევ 3 კომპანიას, რომელთაც მოგვაწოდეს საჭირო მომსახურეობის გაანგარიშება, ყველაზე დაბალი ფასი 4900 ლარი შემოგვთავაზა შ.პ.ს ,,აუდიტ სერვისი"-მა.

გთხოვთ დაავალოთ საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილებას ხელშეკრულების გაფორმება ზემოაღნიშნულ კომპანიასთან. მიწოდების ვადად განისაზღვროს 45 კალენდარული დღე.

პატივისცემით,

თამარ მაისურაძე

დიდუბის რაიონის გამგეობა-საორგანიზაციო განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)